მიღების წინაპირობა

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ევროპის უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგ-რამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში.

გასაუბრება სპეციალობაში:

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველები გაივლიან გასაუბრებას უნივერსიტეტის მიერ შერჩეული პანელის წინაშე. გასაუბრებაზე კანდიდატმა უნდა გამოავლინოს:

- განათლების სფეროს შესახებ ცოდნა;
- მოტივაცია ისწავლოს სამაგისტრო პროგრამაზე;
- პროგრამაზე სწავლის შესახებ მოლოდინები;
- კარიერიული და აკადემიური გეგმები;
- კომუნიკაციის უნარი;

კანდიდატის შეფასება:

კანდიდატი ფასდება 25 ქულიანი სისტემით. გასაუბრება სპეციალობაში ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი დააგროვებს ჯამური ქულების 50%-ზე მეტს.

გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები და თითოეულის შეფასება ქულობრივად:

• განათლების სფეროს შესახებ ცოდნა;	**მაქსიმუმალური ქულა 5**
• მოტივაცია ისწავლოს სამაგისტრო პროგრამზე;	**მაქსიმუმალური ქულა 5**
• პროგრამაზე სწავლის შესახებ მოლოდინები;	**მაქსიმუმალური ქულა 5**
• კარიერიული და აკადემიური გეგმები;	**მაქსიმუმალური ქულა 5**
• კომუნიკაციის უნარი;	**მაქსიმუმალური ქულა 5**

გასაუბრების მსვლელობისას კანდიდატის აკადემიური მონაცემების დადგენის მიზნით უნდა დაისვას კითხვები, რომლებიც გამოამჟღავნებს კანდიდატის მზაობას ისწავლოს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

რეკომენადირებული ლიტერატურა, რომელსაც სასურველია განდიდატი გაეცნოს:

- საქართველოს კონსიტუტია https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36

- „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი (www.matsne.gov.ge, 11/05/1994, 000000430.00.003.000297);
- კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0
- ბოლონიის დეკლარაცია (1999); www.mes.gov.ge
- საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=94
- „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=32830&lang=ge
- საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/23608?publication=17
- ბავშვთა უფლებება კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=2
- ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო: https://eqe.ge/ka/page/parent/787/erovnuli-kvalifikatsiebis-charcho
- მდგრადი განვითარების მიზნები https://sdg.gov.ge/goals

გამოცდა ინგლისურ ენაში

გამოცდა ინგლისურ ენაში ამოწმებს B2 დონის ფლობას ოთხივე ენობრივი უნარ-ჩვევის მიხედვით (წერა, კითხვა, საუბარი, მოსმენა). გამოცდის მაქსიმალური შეაფსებაა 100 ქულა. თითოეული კომპონენტის მაქსიმალური შეფასებაა 25 ქულა. გამოცდა ტარდება ორ ეტაპად:

პირველი ეტაპი - საუბრის მოდული (Speaking Module). ტარდება გამომცდელთან ერთი-ერთზე ინტერვიუს სახით პირისპირ. საუბრის კომპეტენცია ფასდება აპლიკანტისთვის B2 დონის შესაბამისი 5-6 კითხვისა და სადისკუსიო თემის შეთავაზებით. გამოცდის ხანგრძლივობაა 15 წუთი.

მეორე ეტაპი - ტესტი (ტარდება წერითი ფორმით) ამოწმებს კანდიდატის სამ ძირითად ენობრივ უნარს: კითხვა, მოსმენა და წერა.

- **კითხვის კომპეტენცია** - კითხვის კომპონენტი მოიცავს შემდეგ დავალებას: მოცემული იქნება ტექსტი, აპლიკანტი უნდა გაეცნოს მას და სწორად გასცეს პასუხი ტექსტის მიხედვით შედგენილ 10 დახურულ შეკითხვას.
- **მოსმენის კომპეტენცია** - მოსმენის კომპონენტი მოიცავს დახურული კითხვების მქონე ორ დავალებას. ამ დავალების შესრულების პროცესში, აპლიკანტი ორჯერ მოისმენს შესაბამისი დავალების შესასრულებად საჭირო ინფორმაციას.
- **წერის კომპეტენცია** - წერის კომპონენტის შესასრულებლად, აპლიკანტი მოცემული რამდენიმე ვარიანტიდან ირჩევს ერთ ესეის, რომელიც 150-180 სიტყვისგან უნდა შედგებოდეს.

კომპონენტების შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა აღწერილი ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესში, გვ. 25-32 (https://eu.edu.ge/ge/legal-acts).

გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ აპლიკანტი დააგროვებს მინიმუმ 50% + 1 ქულას, ანუ 51 ქულას ოთხივე კომპონენტიდან. ინგლისურ ენაში წერითი გამოცდის ხანგრძლივობა: 2 საათი.

B2 დონის დადასტურება ასევე შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენით, ინგლისური ენის დონის დასადასტურებლად

სტუდენტს უღიარდება შემდეგი საერთაშორისო სერტიფიკატები: CEFR B2; IELTS exam – 5.5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; TOEIC – 785; TOEFL iBT – 72; TOEFL ITP – 543. ასევე, ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება".